ხაშურის მოამბე

№15 (437) 15 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი

ლევან ხარაბაძე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს შეხვდა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ სამუშაო შეხვედრა გამართა ხაშურის მუნიციპალიტეტში, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი, თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განხილულ თემებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ როგორც სოციალურ, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ასევე, იმსჯელეს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმაზე და პრიორიტეტულ საკითხებზე. რეგიონის რწმუნებულის თქმით, ერთობლივი მუშაობა და მსგავსი სახის შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების გამოკვეთას და ასევე, მოგვარების გზების მოძიებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

გასულ კვირას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ.

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ს.კ 69.08.67.985) უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ დამტკიცების შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

პროექტები მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა, და სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მაკა დიდებულიძემ წარმოადგინეს.

სხდომას ესწრებოდნენ ხაშურის მეწარმე ქალები და ახალგაზრდული

ორგანიზაციის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სააგენტოს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი ჯემალ გელაშვილი, რომელმაც დამსწრეთ ახალი პროექტები გააცნო.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, ხაშურში, 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან და მერის მოადგილე ზვიად ქურდაძესთან ერთად, მემორიალთან იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ახალგაზრდები, რომლებმაც დაღუპულებს ტიტებით მიაგეს პატივი.

აღევლინა გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

ღონისძიება, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურისა და ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების“ ორგანიზებით მოეწყო.

„თურმაშკას დასის“ მიერ გაიმართა მცირე ღონისძიება.

9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს.

USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამა“ შიდა ქართლის ეკონომიკის აღმავლობის თანამონაწილეობას აგრძელებს

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის ორგანიზებითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ადგილობრივი განვითარების თემაზე, მერების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე დაესწრო. რწმუნებულმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიულ

პარტნიორობას. ,,30 წელზე მეტია ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პარტნიორია. შიდა ქართლის რეგიონს USAID-თან მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს, დღემდე ერთობლივად არაერთი საჭირო და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროექტი განვახორციელეთ. მიმდინარე პროექტიც - ,,ძლიერი სოფლის პროგრამა“ სწორედ ამის კარგი მაგალითია. ეს პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განვითარების ხელშეწყობას, ადგილზე ახალი შესაძლებლობების გაჩენასა და ადგილობრივების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ჩართულობას. ჩვენ, რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობასა და ადგილობრივების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერას“ - აღნიშნა რეგიონის რწმუნებულმა.

ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე მუნიციპალიტეტების მერების კონფერენციის სამუშაო შეხვედრის მიზანს პროგრამის პარტნიორ მუნიციპალიტეტებში საშუალოვადიანი ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის პროცესის განხილვა და სამომავლო ღონისძიებებზე შეთანხმება წარმოადგენდა.

ღონისძიებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, USAID-ის ეკონომიკური ზრდის ოფისის დირექტორის მოადგილე ენი სტიდი, პარნიორი რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულები, პროგრამის სამიზნე მუნიციპალიტეტების მერები და სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ადგილობრივი საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავების პროცესი, მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების გამოვლენისა და განხორციელების ეტაპზე არსებული გამოწვევები, ადგილობრივი განვითარებისთვის დამატებითი რესურსების მოძიებისა და კერძო-საჯარო პარტნიორობის კარგი პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობები. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს მათ წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, რომელთა მოგვარებაც მდგრადი ადგილობრივი განვითარებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ასევე, ისაუბრეს სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში მიმდინარე რეფორმაზე, ახალ კანონსა და მის მნიშვნელობაზე ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებისთვის.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის მიზანია, დაეხმაროს საქართველოს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობასა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს. ამ მიზნის განხორციელებისას პროგრამა ორიენტირებულია კერძო სექტორის ჩართულობაზე და საგრანტო და ტექნიკური დახმარების მექანიზმების მეშვეობით ინვესტიციების სტიმულირებაზე.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, გაუმჯობესდეს მოსახლეობის საარსებო პირობები და ხელი შეეწყოს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

სამუშაო შეხვედრა „წყალმომარაგებისა და წყალარინების” სისტემების რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „წყალმომარაგებისა და წყალარინების” სისტემების რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით, გურამიშვილის ქუჩის მცხოვრებლებთან, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებული დეტალების განხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძე, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლები. პროექტის უშუალოდ შემსრულებლები და ზედამხედველები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მსგავსი ხასიათის შეხვედრები, სხვადასხვა ქუჩის მცხოვრებლებთან, ხშირად გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს, მოსახლეობის ინტერესების მეტად გათვალისწინებას.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია კი დააპროექტებს ქუჩებს და იქ სადაც

წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურაც.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების” პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით.

იმსჯელეს სოფლის ამბულატორიებში არსებულ გამოწვევებზე და ამ მხრივ განსახორციელებელ ღონისძიებებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელანი საკრებულოს წევრებთან და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთან, გიგა ცერცვაძესთან ერთად ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის” მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამავე ჰოლდინგის სოფლის ექიმების პროგრამის შიდა ქართლის რეგიონალური კოორდინატორი თამარ მელიქია და მუნიციპალიტეტის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები.

მხარეებმა სოფლის ამბულატორიებში არსებულ გამოწვევებზე და ამ მხრივ განსახორციელებელ ღონისძიებებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან თანამონაწილეობას და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას.

ერთი გმირის ისტორია

ალექსი ქორთიაშვილი

დაიბადა 1973 წლის 21 ოქტომბერს, ქ. ხაშურში. დაამთავრა ხაშურის მე-4-ე საშუალო სკოლა. 1989–1991 წლებში სწავლობდა ხაშურის პროფესიულ სასწავლებელში მექანიზაციის სპეციალობაზე. 1992 წლის 20 ივნისს, გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სერჟანტი ქორთიაშვილი, 1992 წლის 7 ივლისს, ჩარიცხულ იქნა საქართველოს შინაგანი ჯარების N 2054 სამხედრო ნაწილის ავტობატალიონში. მას, ჩარიცხვის დღიდან, მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის რეგიონებში. 1993 წლის 18 ივნისიდან, ალექსი ქორთიაშვილი მივლინებულ იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ძველ კინდღში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. 2 ივლისს ,ტამიშში რუსული დესანტის გადმოსხმის შემდეგ, ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა, სადაც ალექსი ქორთიაშვილი, თანამებრძოლებთან ერთად, თავდადებით იბრძოდა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე... ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატის ერთობლივი ძალისხმევით, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, 1992-93 წლების შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული 12 პირის ნეშტი, მიმდინარე წლის მარტში ოჯახებს გადაეცა. მათ შორის იყო ალექსი ქორთიაშვილიც, რომელიც 28 მარტს, ხაშურში, საგვარეულო სასაფლაოზე, სამხედრო პატივით დაკრძალეს.

გელა ათაქიშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი_ალექსი ქორთიაშვილის მეთაური: ''ალექსი გამორჩეული ვაჟკაცი იყო, უშიშარი, შეუპოვარი და თანამებრძოლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 2 ივლისს, მოწინააღმდეგის შემოტევის დროს, იგი, როგორც ათეულის მეთაური, ვაჟკაცურად იბრძოდა და არ აძლევდა მტერს მოახლოების საშუალებას. მოწინააღმდეგემ ვერ გატეხა ქორთიაშვილისა და მისი თანამებრძოლების შეუპოვრობა და მძიმე ტექნიკის საშუალებით მოინდომა მათი ტყვედ აყვანა. ქორთიაშვილმა, ტყვეობას, გმირული სიკვდილი ამჯობინა. იბრძოდა ბოლო ტყვიის გასროლამდე. მან პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. სამწუხაროდ, მისი ცხედრის ბრძოლის ველიდან გამოტანა, მაშინ ვერ მოხერხდა. 1993 წლის 2 ივლისის შემდგომ, ალექსი ქორთიაშვილი ითვლებოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად. დღეს კი, მისი ნეშტი, უკვე მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. ალექსისნაირი ვაჟკაცების შეუპოვრობამ მოიტანა ჩვენი სამშობლო აქამდე! ნათელი მის სულს!''

ზაზა გუჯაბიძე-თანამებრძოლი_ ''მე და ალექსიმ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გავიცანით ერთმანეთი და იმ დროიდან ვმეგობრობდით. ძალიან მხიარული, ლაღი და ხალისიანი ბიჭი იყო, ჩვენი თაობის ტიპური წარმომადგენელი_ მაშინ, ხომ, ახალგაზრდების უმრავლესობა, ერთმანეთს ვგავდით_სხვანაირად გვიყვარდა ერთმანეთი, ნაღდი და სუფთა ურთიერთობები გვქონდა. შემდგომ, ამას, დაერთო საერთო ტკივილი, რასაც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა ჰქვია. ყველას მხოლოდ ერთი მიზანი გვამოძრავებდა და როცა ერთი მიდიოდა ომში საბრძოლველად, ყველა მეგობარი მას მისდევდა კვალდაკვალ, არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის, არამედ ერთმანეთის თანადგომის გამოც. იმ დიდ ბრძოლაში, სამშობლოსთვის, ერთად გვინდოდა ყოფნა. ასეთი იყო ალექსიც. ნაწილის ხელმძღვანელს ომში რომც არ წაეყვანა, თვითონ მაინც წავიდოდა,_ვერაფერი შეაჩერებდა მაშინ, როცა მისი თანატოლები ბრძოლის ველზე სამშობლოს დასაცავად მიდიოდნენ. საავტომობილო ასეულში იყო. ყველგანმავალი მანქანა_''ურალი'' ჰყავდა. ისეთი მხიარული ბიჭი იყო, დადიოდა და თან, ღიმილი და სიხარული დაჰქონდა! ახლა, მასზე ''ბიჭი'' მეთქი რომ ვამბობ, ვფიქრობ, რომ ის და ჩვენი იმიერში გადასული თანამებრძოლები, ჩვენგან განსხვავებით, ''ღიმილის ბიჭებად'დარჩნენ მუდამ... დრო გავიდა, ჩვენ კი შევიცვალეთ, დავბერდით, მაგრამ სანამ ვიქნებით, სანამ ცნობიერება გვექნება, მარადიულად გვემახსოვრება ისინი, რომლებზეც იმის თქმაც კი გვიმძიმს, რომ ჩვენს გვერდით აღარ არიან. გმირები ხომ არ კვდებიან?!

მე კავშირგაბმულობის შენაერთში ვიყავი. რაციების დამტენების საშუალება არ გვქონდა ადგილზე და ხანდახან, საკმაოდ შორ მანძილზე გვიწევდა ჩასვლა შტაბში, რომ იქ დაგვეტენა. ალექსი ყოველთვის მომყვებოდა, მარტო არ მიშვებდა. არ მახსოვს, ერთხელ მაინც დაზარებოდეს. საკმაოდ საწვალებელი საქმე იყო_მარტო უნდა გაგევლო ტყეზე, მთაში... თავს არიდებდნენ ხოლმე ბიჭები_ალექსი კი, არასოდეს! ბოლომდე იცოდა მეგობრობაც და ერთგულებაც.

რუსული დესანტი, მოგეხსენებათ, 2-ში გამთენიას გადმოსხეს. ჩვენი შენაერთები თავგანწირულად იბრძოდნენ. ალექსი, ბოლოს, თავის პოზიციაზე ვნახე, სანამ მოწინააღმდეგე გააფთრებით შემოგვიტევდა და ჩვენს შორის კავშირი გაწყდებოდა. ჩვენ ძველ კინდღში ვიდექით. მოწინააღმდეგე მხარეს დაბომბვა არ შეუწყვეტია, სანამ ჩვენ პოზიციებზე ვიყავით. ამითაც რომ ვერაფერს გახდა, მოწინააღმდეგემ, ტექნიკას გამოუძახა და ალექსის და მასთან ერთად, კიდევ 4 ჩვენ თანამებრძოლს,

თავიანთ სანგარში გადაუარა... არც ერთ მათგანს არ მოუცვლია ფეხი ცხელი წერტილიდან. მართლა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლეს და გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე...

მე დაჭრილი თანამებრძოლის გამოსაყვანად ვიყავი წასული და როცა იმ პოზიციიდან, სადაც ალექსი და ჩვენი მებრძოლები იყვნენ, სროლის ხმა შეწყდა, მივხვდი, რომ მტერმა მოუსწრაფა მათ სიცოცხლე...

ამ ამბიდან თვენახევრის შემდეგ, ჩვენი ბიჭების ნეშტების გადმოსვენებასთან დაკავშირებით, აფხაზურ მხარესთან, მოლაპარაკებები შედგა. 4 კაცი წავიდა_მეც მათ შორის. ჩვენვე გავთხარეთ სამარხი... ალექსის ცხედრის მხოლოდ ერთ პატარა ნაწილს მივაკვლიეთ და ის წამოვიღეთ... მაშინ არც დეენემის ანალიზის საშუალება იყო.. ამ რამდენიმე დღის წინ კი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და ხელისუფლების ძალისხმევით, აფხაზეთიდან გადმოსვენებულ უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჩვენი მეომრებს შორის, ალექსის ნეშტიც იყო... ჩვენი ''ღიმილის ბიჭი'' დაბრუნდა 30 წლის შემდეგ...

არ შემიძლია, მადლობა არ გადაგიხადოთ იმის გამო, რომ ჩვენს გმირებს არ ივიწყებთ და მომავალ თაობებს აცნობთ მათ სახელებს; შეახსენებთ, ვის თავგანწირვაზე დგას ჩვენი სამშობლო...''

ალექსი ქორთიაშვილი (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ახალგაზრდები ხაშურის მომავალზე ზრუნავენ

ხაშურში, მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-„ხაშურის ახალგაზრდული საბჭო“ შეიკრიბა.

ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ და ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ დამფუძნებელმა გიორგი მაჭარაშვილმა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ერთად გაუსვეს ხაზი, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობას.

საბჭოს წევრებმა მიიღეს ინფორმაცია საბჭოს ფარგლებში მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

„ახალგაზრდულმა საბჭომ“ აირჩია თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

აღსანიშნავია, ისიც, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოს, გამართულად მუშაობასა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში.

საბავშვო ბაღების ფორუმი

2024 წლის 6 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი-ლელა გელაშვილი, მიწვეული იყო საბავშვო ბაღების ფორუმზე, რომელიც ბაღების საკონსულტაციო ცენტრი “ქიდსოფისის ორგანიზებით, უკვე მეორედ იმართება საქართველოში.

ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი საინტერესო პრეზენტაციით წარსდგა აუდიტორიის წინაშე, პრაქტიკის გაზიარება- „მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

ხაშურის ბაგა-ბაღების ხელმძღვანელის მოხსენება საინტერესო და აქტუალურ საკითხებს ეხებოდა, რამაც დიდი დაინტერესება და მოწონება გამოიწვია დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაისვა ბევრი კითხვა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ბაღების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს ადგილზე ესტუმრონ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაღებს და გაიზიარონ სხვადასხვა წარმატებული პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ ლელა გელაშვილის მოხსენება, მშობელთა ჩართულობის შესახებ , ყველაზე წარმატებულ პრაქტიკად დასახელდა.

აღნიშნულ ფორუმს ესწრებოდნენ ხაშურის #2 საბავშო ბაღის დირექტორი- ნინო ტაბატაძე.

სოფ. წრომის საბავშვო ბაღის დირექტორი - **მანანა გოდელაშვილი.**

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4 ,5,6,7,8,9,10,11,12)

კოტეს წყარო – ადგ., წყრო სოფლის ცენტრში, სამხრეთით. ,,კოტე გელაშვილი იყო”. ,,სერის პირზე, მდინარე სურამულას სანაპიროზეა. კოტე გელაშვილმა გააკეთა ეს წყარო“.

მიშას წყარო - ადგ; წყარო დასავლეთით. ,,მიშა გელაშვილმა გააკეთა ეს წყარო“(პლ. გელაშვილი).

ნაბაღრები – ადგ., სათესი.

საბურთალო - ადგილი.

სათივე – ადგ., საძოვარი სამხრეთის მხარეს.

საშას წყარო – წყარო დასავლეთის მხარეს, სოფლის შესასვლელში. ,,საშა გელაშვილი იყო”.

სოგრატას წყარო – ადგ; წყარო.

სურამულა – მდინარე სამხრეთის მხარეს. ,,აქ მოედინება სურამულა. კალაპოტი, რომ შეუცვალეს, მაინც დარჩა, ასე ვეძახით”. ,,მდინარე სურამულა ჩამოდიოდა ჩვენს სოფელში, ზოგი ფრონესაც ეძახდა“.

შურას წყარო – ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. ,,შურა გრიგალაშვილი იყო”. ,,სოფლის თავშია, შურა გრიგალაშვილის მიერ არის გაკეთებული ეს წყარო“.

წმინდა მარიამის წყარო – ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს, ,,წმინდა მარინეს ეკლესიასთან ახლოს, ფერდობზე”.

ჭალები//ჭალის მიწები – ადგ., საძოვარი, სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს. ,,მდინარე სურამულას მარჯვენა მხარესაა. აქ ტყე ყოფილა, მერე გაუჩეხიათ. ოსიაურის ტყის მსგავსი ტყე ყოფილა“.

ნასოფლარი ჭ ა ნ კ ო ტ ა ძ ე ე ბ ი

ვარცხლის სერი - ადგ; გორაკი დასავლეთის მხარეს.

ჭეჭელაანთ ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს.

სურამის სადაბო საკრებულო

ნასოფლარი ბ ა ი ა ნ თ ხ ე ვ ი

ბაიანთხევი – ადგ., ხევი, მდინარე.

ბაიანთხეულა – მდინარე, იგივეა, რაც საკირის ღელე

ბებრის წყარო – წყარო

ბელტიას წყარო – ადგ., სახნავი გადასახედი - ადგ., მთა

გიგოსწყარო – წყარო

გრიგალაშვილების უბანი – უბანი.

გრიგალაშვილების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.

დედოფლის მინდორი – ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

დედოფლის წყარო – წყარო დასავლეთის მხარეს.

დევდარიანის ყანები - ადგ., სათესი.

დიდმინდორი - ადგ., სათესი.

ვანო წყარო – წყარო.

ზამთარაული - ადგ., სათესი.

ზედა ბაიანთხევი - ადგ., ნასოფლარი.

ზედა საჯვარე – ადგილი.

ზვლეული – ადგ., ტყე.

იოსების ახო – ადგ., სახნავი.

კალო - ადგ., საძოვარი .

კიკაძის ახო – ადგ., სათესი.

კიკაძის წყარო – წყარო.

კულტურები – ადგილი.

კვართისის სერი – ადგ., სერი, საძოვარი.

ლაშესწყალი//თავსაბანი წყალი – ადგ., წყარო.

ლევანას სათივე – ადგ., საძოვარი.

ლევანას წყარო – წყარო.

ლევანას ყანები – ადგ., სათესი.

მარგლითავი - ადგ;

მელიტონის ახო – ადგ., სახნავი.

ნანივრალი - ადგ., სათესი.

ნასახლარი – ადგ., სათესი, ვენახი.

ნაქოხრები – ადგილი.

ოლიამბური – ადგილი.

პოლიტიკის წყარო - ადგ., წყარო, საძოვარი.

საკირხევი – ადგილი.

საკირხევის წყალი – წყარო.

საურმე გზა – გზა.

სახელმწიფოს ტყე - ადგ., ტყე.

ტეზრის საჯვარე – ადგ., საძოვარი.

ფასოს მიწა – ადგ., სათესი.

ქვანათხარი - ადგ; საძოვარი, ფერდობი.

წვრილმანატყეები - ადგ; ტყი.

ჭყარტნიულები - ადგ; სათესი. მასზე უნდა იყოს საუბარი 1752 წლის 20 სექტემბრის მიწის ნასყიდობის საბუთში, რომელსაც გიორგი ხიდირბეგიშვილი აძლევს დიმიტრი ციციშვილს. ,,... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ხიდირბეგისშვილმა გიორგიმა და ძმამან ჩემმან... და ქაიხოსრომ და როსტომ, თქვენ, ბატონს ციციშვილს დიმიტრის და ჩმისწულსა თქვენსა იოვანეს და შვილსა თქვენსა ედიშწრს... ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ზვარი ჭარტლიული თავისის სანაპიროთი, როგორ[ი]თაც ძველ[ი]დგან სანაპირო და ღობე ქონოდეს, აქეთ მურვანისშვილების მიწის მიდგმამდი, ქვეით მარგლითავს მურვანისშვილის მიცემულის მიწის - ბაიაშვილის მიწის მიდგმამდი, ზეით კიდევ მურვანისშვილის მიწის მიდგმამდი“. XVII ს-ის ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც მურვანიშვილების მამულების სიას უნდა წარმოადგენდეს, ფიქსირდება ჭარტიული, რაც იგივე ჭარტლიულია, გვიანდელი ჭყარტნიულებიც. სიაში აღნიშნულია: ,,ქ. კიდევ სუსანას მიწა ჭარტიულს, აქეთ ოქროპირაშვილის, რომ ეჭირა“.

სოფელი ბ ე კ ა მ ი

აბაშიძიენთ მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში, რომლის თანახმადაც ლეკვია ტაბატაძემ აბაშიძე გიორგის მიჰყიდა ბეკამში პეტროზაულში ორი დღის მიწა, რომელიც ,,ბოლოში“ ესაზღვრებოდა ,,ისევ აბაშიძიენთ მიწას“. აკვანათები – ადგ; სახნავი დიდ ბეკამში სამხრეთის მხარეს. მთა პატარა ბეკამში. მასზე უნდა იყოს საუბარი თამაზ ხარატიშვილის მიერ 1737 წლის 9 მარტს ქაიხოსრო აბაშიძისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, ხარატიშვლმა თამაზამა, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა ყოველთავე თქვენ, აბაშიძე ბატონს ვახუშტის , ბატონიშვილს ანუკას, შვილთა თქვენთა პაატასა და ნიკოლოზს, მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე. მას ჟამს ოდეს დავტყვევდი და გამიჭირდა , სხვა გზა და ღონე ვერსად ვქენი და რაც ვისგან რამ მოსყიდული მქონდა, ნათისშვილის ადამის მოსყიდული ვენახი, გუდაძე პავლიასეული ვენახი, გულიაშვილის ვენახი, ბლიაძე გიორგისეული ვენახი, ბლიაძე გარსიასეული მიწა, ზაქთუაშვილისეული ნავენახარი, ვარდიაშვილისეული სახლის ალაგი და სასახლე, კიდევ გიორგასეული მიწა აკვანაში, მათიაშვილის ზაზასეული მიწა, ივანე გუდაძისეული მიწა, გონცაძისეული საწისქვილო ნახევარ ჩარექი. ესენი ყველა თქვენ მოგყიდეთ და ამაების ნასყიდობის სიგელებიც თქვენ მოგართვით“. ანეულები - ადგ; ,,ანეული - ზაფხულის ნახნავი“ .

ბარბაქაძის ვენახი - ადგილი; დაფიქსირებულია მათიაშვილ პაპას მიერ სვიმონ აბაშიძისათვის 1785 წლის 27 მარტს მიცემული ვენახის საბუთში ერთ-ერთ საზღვრად. იხ. აგრეთვე მეგოდრიული

ბარბაქაძეების თელები - ადგ., სახნავი დიდ ბეკამში.

ბარბაქაძის მიწა - ადგ; დაფიქსირებულია მათიაშვილ პაპას მიერ სვიმონ აბაშიძისათვის 1785 წლის 27 მარტს მიცემული ვენახის საბუთში ერთ-ერთ საზღვრად. იხ. აგრეთვე მეგოდრიული

ბარბაქაძეების უბანი – უბანი პატარა ბეკამში, დიდ ბეკამში. ადგილი სადაც ბარბაქაძეები ცხოვრობენ.

ბარბაქაძეების წისქვილი – ადგ., ნაწისქვილარი დიდ ბეკამში.

ბარბაქაძეების წყარო - წყარო სოფლის ცენტრში.

ბაქრაძეების წყალი - ადგ; წყარო.

ბებიაშვილის ბაღი - ადგილი. იხ. ნაფუზარი.

ბეკმის ღელე – ადგ., ღელე, იგივეა რაც ცხრაწყარო. ,,ცხრა ადგილიდან გამოდისო”.

ბეჟანის იფნები - ადგ; იხ. ტაბატაძის ვენახი.

ბეშქენასშვილის მიწა - ადგ; იხ. შოლა.

ბლიაძეების უბანი – უბანი.

ბურთიაული – ადგ; სახნავი დიდ ბეკამში, აღმოსავლეთის მხარეს. ბურთულები უნდა იყოს 1785 წლის 16 მარტის საბუთში დაფიქსირებული ბურთიაული. აქ ლეკვია ტაბატაძემ აბაშიძე ქაიხოსროს მიჰყიდა ორი დღის მიწა: ,,ამას გარდა კიდევ მოგყიდე ბურთიაულში ბერი მამასახლისეული ორი დღის მიწა, თავს ზაზუტაშვილის მიწის მიდგმამდინ, ბოლოს ისევ ბერი მამასახლისისშვილი ბეჟიას მიწის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ხევამდინ, მეორე გვერდი გზირი ბეჟანას მიწის მიდგმამდინ“.

ბურთულების ბილიკი - ადგ., ბილიკი პატარა ბეკამში

გაურდელა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში. აბაშიძე ქაიხოსროს ლეკვია ტაბატაძემ მიჰყიდა ,,...გაურდელაში ჩხეიძის კაცი ივანე ტუკაძისეული ხუთი დღის მიწა. თავს ტეზრის გზამდინ, ბოლოს მათიენთ ტყის გზამდინ, ერთი გვერდი ბერი მამასახლისისშვილი ბეჟიას მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ტყემდინ“.

გაღმა ბეკამი – უბანი. იგივეა რაც პატარა ბეკამი

გაღმა ვენახი - ადგ; ვენახი. დაფიქსირებულია 1785 წლის 8 აპრილის საბუთში. ,,...წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით თქვენ, ბატონს აბაშიძეს სვიმონს..., ჩვენ ბეკმელმა მათიასშვილმა ბეჟიამა... მას ჟამს ოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ბეკამს ჩვენგანაც ნასყიდი წყაროსთან გაღმა ვენახი. თავს ჯაბადრისშვილის ვენახის მიდგმამდინ, ბოლოს ფშნამდინ, ერთი გვერდი კიდევ ჯაბადრისშვილის ვენახის მიდგმამდინ, მეორე გვერდი კიდევ ჯაბადრისშვილის ვენახის მიდგმამდინ“. იმავე წლის 27 მარტს აბაშიძე სვიმონს გაღმა ვენახს აძლევს ივანე კოჩაძე. გაღმა წყალი - ადგ; წყარო

გველესიანისასეული ვენახი - ადგ; ვენახი. 1758 წლის ივნისის დამდეგს ბერმა მათიაშვილმა მიჰყიდა მღებარ ბაღდასარას: ,,...მოგყიდე ჩემი ალალი გველესიანისასეული ვენახი. თავსა ბისა(?) მიდგმამდინა და ბოლოს ტაბატაძის მე, მათიასშვილმა ბერმა შენ, მღებარსა ბაღდასარსა ამა მიდგმამდინა. აქეთა გვერდითა ჩემისა ვენახისა მიდგმამდინა და იქითა გვერდითა მინდრომდინა“. გვერდა ადგილი – ადგ., სახნავი, საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,შეფენილი ადგილლია”, ,,დიდგვერდოებსაც ვეძახით“.

გიორგასშვილი გელიას მიწა - ადგ; იხ. შოლა.

გრიშა დანგაძის ახო – ადგ., სათესი დიდ ბეკამში.

გუდაძე პავლიასეული ვენახი - ადგილი; იხ. აკვანათები.

დაბლა მინდორი – ადგ., სახნავი, საძოვარი სამხრეთის მხარეს.

ვარდიასშვილისეული მიწა - ადგ; იხ. შოლა.

ვეფხვაძეების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი დიდ ბეკამში.

ზედა უბანი - უბანი პატარა ბეკამში.

ზუმბაძეების უბანი - უბანი დიდ ბეკამში.

თეთრმიწები – ადგ., სათესი დიდ ბეკამში.

თეთრა წყარო - ადგ; წყარო. დაფიქსირებულია 1785 წლის 16 მარტის საბუთში. ლეკვია ტაბატაძემ აბაშიძე ქაიხოსროს მიჰყიდა თავისი ,,...სასახლე თავისის სანაპიროთი და გამართულობითა, თავს თეთრაწყარომდინ, ბოლოს შარამდინ, ერთი გვერდი ორკამდინ, მეორე გვერდი ბეჟია მათი[ა]სშვილის სახლის მიდგმამდინ“..

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

<u>გადამლაშებად არ ჩამითვალოთ</u>

უინსტონ ჩერჩილი: დემოკრატია მმართველობის უსაზიზღ-რესი ფორმაა!!!

ამ წერილის სათაურად იმიტომ გამოვიტანე დიდი ინგლისელი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის გამონათქვამი, რომ იგი საპარლამენტო დემოკრატიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქვეყნის შვილი იყო და სხვაზე მეტად დაეჯერება.

ლორდი იყო, ბოლოს და ბოლოს, ისეთი კი არა, ელტონ ჯონი რომ არის, რომელსაც ინგლისის დედოფალმა მიანიჭა რამდენიმე წლის უკან რაინდის ტიტული, როდესაც ერთი ახალგაზრდა კაცი ცოლად შეირთო, თუ თვითონ გაჰყვა ცოლად.

ასე რომ არ იყოს, ჩერჩილისა კი არა, ბრძენი ილია ჭავჭავაძის ნათქვამს გამოვიტანდი სათაურად, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს ეხება, სწორედ. როდის თქვა, იცით? როდესაც მისსივე ინიციატივით დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკის მმართველობის არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და წააგო!

წააგო ივანე მაჩაბელთან, რომელმაც საბანკო საქმე, და საერთოდ, რაიმე საქმის მართვა ისე იცოდა, როგორც ბებიაჩემმა, სონა გელაშვილმა ჩინური ენის გრამატიკა. რატომ წააგო ამ ჭკუით გაპენტილმა კაცმა არჩევნები ინგლისური ლიტერატურის დიდებულ მთარგმნელ, მაგრამ საბანკო საქმის სრულიად უცოდინარ ივანე მაჩაბელთან?იმიტომ, რომ მაჩაბელი ქართლელი იყო, ილია კი კახელი. ხოლო სათავადაზნაურო კრებაზე ქართლელები ბევრად მეტნი ყოფილან კახელებზე. სხვათა შორის, ამ კრებაზე ინციდენტიც მოხდა, ერთმა ქართლელმა თავადმა მისცა ილიას ხმა და ქართლელმა თავადებმა კინაღამ ჩაქოლეს, კახელს რატომ მიეცი ხმაო. აი, მაშინ თქვა ილიამ: ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოსო. ჭეშმარიტად, ილია ჭავჭავაძის ხმა და ვიღაც ჯოხიტლეკიაშვილის ერთი ხმა ერთნაირი წონისაა? ამაზე რთი კარგი პასაჟი აქვს გურამ დოჩანაშვილს, მოთხრობაში, "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა".

აი, ისიც: : "მათემატიკა ზუსტი მეცნიერება არ არის, რატომ, თუ იცი? იმიტომ, რომ იქედან თუ მოდიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, აქედან კი ვინმე სხვა სამი კაცი, მათემატიკოსი იტყვის-მომავალი და მიმავალი ადამიანების რაოდენობა ტოლიაო"აი, რეალურად, ასეა საქმე.

ადვილად მიხვდებით, თუ რატომ წერს ამას გონიერი გურამ დოჩანაშვილი.

დემოკრატია ვინც მოიგონა და დაამკვიდრა, კარგად იცოდა, ალბათ, რომ ერთ სოფელსა თუ ქალაქში, ჭკვიანი, ჭკუის საკითხავი კაცების რაოდენობა ასჯერ ნაკლები იყო მცირე ჭკუისა თუ სულაც სულელ კაცებზე, მაგრამ იფიქრა, რამდენიმე ჭკვიან კაცს რომ მივანდოთ მთავრობის არჩევა, ვაი, თუ შეცდეს ის რამდენიმე კაცი და რა გვეშველებაო! მოდი, მთელ ხალხს ვკითხოთ, ამოდენა მილეთის ხალხი ხო მარ შეცდებაო. "დათამაა თუთაშხიაში" რომ ასინეთაა, ე, იმის ლოგიკაა ეს:ორი კაცი რომ მოისმენს და გაიგებს, ერთი კაცი მოისმენს და გაიგებს ისე?! ა, ეს ლოგიკაა. არადა, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შესახებ, ფსიქოლოგიას უტყუარად აქვს დასაბუთებული, რომ მილიონი საშუალო ნიჭის ადამიანის კოლექტიური გონებრივი შესაძლებლობა, ერთი გენიოსის ინტელექტს არანაირი საზომით არ უთანაბრდება. მეტიც, მილიონი საშუალო ნიჭის ჯამი, ერთი საშუალო ნიჭის ტოლია.

ჭკვიანი კაცი იყო კარდინალი რიშელიე: ერთი კაცის ჭკუას ორი კაცის ჭკუა სჯობია, სამი კაცის ჭკუა, ორი კაცის ჭკუაზე უკეთესია, მაგრამ ასი კაცის ჭკუა, ერთი ვირისაზე ნაკლებიაო,- ასე თქვა, სწორედ. ისე, ჩემს ახალგაზრდობაში, არც ჩერჩილის გამონათქვამი მეგონა გონივრული, არც კარდინალ რიშელიეს ნათქვამი ჩამითვლია სერიოზულ ნააზრევად და თვით ილიას ზემოთ აღნიშნული მოსაზრება გაბრაზებული კაცის ნათქვამად ჩავთვალე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დემოკრატია აყვავდა ჩვენში, ვისაც ცოტა ჭკუა მაინც მოეკითხება, ყველა დარწმუნდა, იმ ცხონებული სამი დიდი კაცის ნააზრევის ჭეშმარიტებაში.

საქართველო, საბჭოთა წყობილების პერიოდში, ექსპერიმენტების რესპუბლიკად ითვლებოდა და არც თუ ისე უსაფუძვლოდ. ჩვენში მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღებაც ერთგვარ ექსპერიმენტად მიმაჩნია. რადგან ამიერ თუ იმიერკავკასიელი ხალხებისთვის ჩვენი მაგალითი რაღაცრაღაცეების შესახებ, ადეკვატურ წარმოდგენებს შექმნის და, მე მგონია, შექმნა კიდევაც. მარტო ის რად ღირს, რომ დემოკრატიულად არჩეული პარტია, „გირჩის" წევრებმა და ლიდერებმა როგორ "ეფექტიანად" გააპროტესტეს რუსეთის პოლიტიკა სეპარატისტული ე. წ "სამხრეთ ოსეთის" საზღვართან.არ დაიჯერებთ, მაგრამ მათ ნამდვილად ჩაიხადეს შარვლები და შიშველი უკანალები მიუშვირეს საზღვრის იქით მდგომ მესაზღვრეებს. როგორც ამბობენ, მესაზღვრეთა რაზმის მეთაურს უკითხვას, ვინ არიან ეს ტრაკებიო. ქართული საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები არიანო-უთქვამთ. იმ მეთაურს აღარ დაუკონკრეტებია თავისი ცოდნა ამ პარტიის შესახებ და არც მისი თავმჯდომარის ზურაბ გირჩის ვინაობა.

რა თქმა უნდა,ჩვენმა ხალხმაც კარგად დაინახა,რა არის ეს დემოკრატია, რომელიც იმ ნაქები "ევროპული გონების" პროდუქტია. ჩვენ გამოუცდელი ხალხი ვართ ამ საქმეში. მაგრამ ერთობ გამოცდილ დასავლეთელებს ხომ უნდა დავუჯეროთ!ბოდა, იმ დიდი გამოცდილების მქონე დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა აკი გვითხრა, თქვენი პრეზიდენტი დემოკრატიის შუქურააო. ჩვენმა თანამემამულეთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც უცხოელის ნათქვამი სიბრიყვეც კი სიბრძნედ მიაჩნია, დაიჯერა, რომ როგორც იქნა, გვეღირსა დემოკრატიაო. ახლა ერთი დიდი მოლოდინი აქვთ კორბეულელ თუ ბოდბელ, ნებოძირელ თუ დილიკაურელ, ომალოელ თუ საჭამიასერელ, სასირეთელ თუ ხაბუმელ გლეხებს, იმის საბუთიც მოგვცეს დასავლეთმა, რომ თქვენც ისეთივე ევროპელები ხართ, როგორც ესპანელები თუ ჰოლანდიელები, დანიელები თუ ფინელები, მერე გვეღირსება ნამდვილი თავისუფლება. ისეთი, როგორიც აქვთ შვედებსა თუ ფრანგებს, ჩეხებსა თუ ლიეტუველებს, სადაც, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, უნდა რგოლს გაიყრის ხვირში, თუ სურს, სქესს შეიცვლის. აბა, ის არის საქმე, კაცად თუ დაიბადე, მთელი ცხოვრება კაცად რომ უნდა გაატარო, ან ქალად თუ გაჩნდი, მუდამ ქალად უნდა დარჩე. იქნებ მეც მინდა, ცოლი მოვიყვანო(ქალი ფიქრობს), ან გავთხოვდე(კაცი ფიქრობს). რად უნდა მიშლიდეს ხელს ამაში, ეს ოხერი თანდაყოლილი სქესი? ადამიანი ხო თავისუფლებისთვის არის გაჩენილი, განა, სიცრუეა ეს?

აი,ამ აზრებს აღუძრავს "დემოკრატიული თავისუფლება" კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელსაც ღვთის მონიჭებული შემეცნების უნარის მწვავე დეფიციტი აქვს, ასეთები კი დიდი უმრავლესობაა ნებისმიერ საზოგადოებაში. სწორედ მათი ინტელექტის მართვისა და მოწესრიგების აუცილებლობის გამო შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ფუნქციაა მორალური კოდექსისა და სამართლებივი ნორმების ჩარჩოებში მოაქციოს საზოგადოების უჭკუო და ჭკვიანი ნაწილი, რათა ყველა ადამიანმა იგრძნოს ნამდვილი პიროვნული თავისუფლება და საკუთარი ღირსების გრძნობა. მრავალი საუკუნეების წინ მიაკვლია კაცობრიობამ იმ ჭეშმარიტებას, რომ თავისუფლება არის ობიექტური აუცილებლობა მოთხოვნისადმი დამორჩილება. აი, დემოკრა-

ტია(ახლანდელი გაგებით) ვერ უზრუნველყოფს მას.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს ქვეყნის მეფე იყო, თუ დიქტატორი, ბელადი თუ სხვა ლიდერი, არავის არაფერს ეკითხებოდა და ისე იღებდა საქვეყნო გადაწყვეტილებებს. არა, ბატონებო, არა! ყველა ქვეყანაში, მეფესთან, თუ ქვეყნის სხვა ლიდერებთან, ფუნქციონირებდა ჭკუის საკითხავი კაცთა საკრებულოები, ან სხვა მსგავსი სტრუქტურები. ქართველ მეფეებსაც ჰყავდათ მრავალრიცხოვანი მრჩევლები, რომლებიც სწავლულ კაცთა საბჭოებისა თუ კომისიების სახით არსებობდნენ. სწავლულ კაცთა და არა უსწავლელ და უვიცთა საბჭოები თუ კომისიები.

მერედა, ეს სწავლული კაცები(ანუ ჭკვიანი კაცები) საზოგადოების მრავლესობას წარმოადგენდნენ ან მაშინ და ან ახლა? ამიტომ, უმრავლესობის ნება ჭკვიანური როგორ იქნებოდა მაშინ ან ახლა, მაცოდინა, ნეტავი!

შორს წასვლა არ დაგვჭირდება ამ ჭეშმარიტების დასანახად. აგერ არ გავქვს უმრავლესობის მიერ არჩეული პარლამენტი! უმრავლესობის აზრი რომ ღირებულებას წარმოადგენდეს, მაშინ ეს ასორმოცდაათი(150) კაცი მთელი ჩვენი საზოგადოების, მართლაც ნაღები უნდა იყოს. არადა, ეს 150 კაცი, საზოგადოების ისეთივე ნაღებია, როგორც ის ვირი, სალოცავად რომ მიდიოდა იერუსალიმში.

არადა, საყოელთაო არჩევნებით, ანუ დემოკრატიულად არჩეულები არიან ეს დეპუტატები, ანუ ქართველი ხალხის რჩეულები! ვაი, ამ ქვეყანას, რომელსაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იმ დეპუტატზე უკეთესი ადამიანები არ ჰყავს, რომელთა ერთ ნაწილს, ახლა ჩამოვთვლი: აი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი, თინა ბოკუჩავა, კუპონა გოცირიძე, ელენე ხოშტარია, ვინცხა მანჯგალაძე, ვინცხა სამნიაშვილი, ვინცხა ელისაშვილი, ვინცხა სამადაშვილი, ზუგდიდის მშვენება წითლიძე, ქუთაისში გაზრდილი ჩხრიალა გველი ნაცვლიშვილი. ბოდიშს ვიხდი იმათთან, ვინც ვერ დავასახელე და დასახელებულთა პატიოსან მოგვარეებთანაც.

აი, ესაა კოლექტიური ამომრჩევლის, ანუ დემოსის დემოკრატიული არჩევანი.

ამათ, თურმე, 2024 წლის 1 იანვრიდან რვაათასი (8000) ლარი ჰქონიათ ხელფასი და ახლი წლიდან, 2000 უმატებენ კიდევ.

ესეც დემოკრატიული სოციალური სამართლიანობა!

კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის დროს, რაიკომის პირველი მდივნის ხელფასი 350-450 მანეთი იყო(რაიონის ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით). რაიკომის პირველი მდივანი რაიონის მმართველი გახლდათ. მე თბილისის ერთ-ერთი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ვიყავი და ლექციებსაც ვკითხულობდი ხუთ ჯგუფში. ჩემი თანამდებობრივი ხელფასი და ლექციების საათობრივი ანაზღაურება 300 მანეთზე მეტი იყო. მაშინ მინისტრის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასს 3-ჯერ მეტად არ აღემატებოდა. ეს ნორმალურია?! ახლა ამ უზნეო

(დასასრული VI გვერდზე)

უინსტონ ჩერჩილი: დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა!!!

(დასასრული)

და უვიცი დეპუტატების ხელფასი ჩემ პენსიას 22-ჯერ აღემატება. მე მათი კი არ მშურს, დემოკრატიული მმართველობის ხელში "გაუბედურებული" ქვეყანა მებრალება.

რჩეული დეპუტატებით კი არა, მოწვეული ჭკვიანი კაცებით რომ დაეკომპლექტებინათ ხელისუფლების ორგანოები, სრულიად სხვა რეალობაში ვიცხოვრებდით მაშინ, რადგან განათლებულ კაცებს გეოგრაფიაც ეცოდ-

ინებოდათ, ისტორიაც, დიდიც და პატარაც და იმათ, ვინც "შინ" ევროპაში მინდა, დავბრუნდეო,-იტყოდა, უფასო ფსიქიატრიულ მკურნალობას დაუნიშნავდნენ.

ეს ასეა, მაგრამ ჩვენსავე პრაქტიკულ ცხოვრებაში როგორ რეალობას ქმნის "დემოკრატიული შუქურებით" განათებული მართვის სისტემა?

საყოველთაო არჩევნებით შერჩეული "რჩეულები", რომლებიც არც ჭკუით, არც ცოდნით, არც ზნეობით გამოირჩევიან, რა თქმა უნდა, მაღალი ეროვნული იდეალებით და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობითაც არ გამოირჩევიან,,ამიტომ ისინი საკუთარი სურვილებითა და მოთხოვნილებებით მოქმედებენ. საკუთარი კომფორტია მათი იდეალი, სწორედ ამიტომ, უპატრონო საქართველოს მიწა-წყალს ისე გადასცემენ არენდით უცხოელებს, რომ გული არ შეუტოკდებათ. მერე, გაბითურებული მათი ამომრჩევლები პროტესტს რომ გამოხატავენ ამის გამო(ის "ინვესტოორი" ტყესა და მდინარეში რომ აღარ შეუშვებს ამ მიწა-წყლის ნამდვილ პატრონებს) თავს იმართლებენ, ჩვენ მიწა-წყალი კი არ გაგვიყიდია, დროებით, არენდით გადავეცით ინვესტორს, რომ იმ ტყისა და წყლისათვის თქვენზე უკეთესად, ისევ თქვენს სარგებლად მოევლოო.

რამდენიმე წლით გადაეცით არენდითო, რომ კითხავენ, რაღაც 49 თუ 99 წლითო!

ვაი, თქვენსა და ჩვენს პატრონს! 99 წლის მერე, იმ რიონის ხეობასა თუ რაჭის ტყეებს როგორ დაიბრუნებენ ჩვენი შთამომავლები, როდესაც ქართველებს გამრავლების არც სურვილი აქვთ, მგონი და არც შესაძლებლობა. იმ უცხოელებს, კი, შვიდსულიანი ოჯახი უშვილო კომლად მიაჩნიათ.

რას იზამ, დემოკრატიის წესია ასეთი. ყველა ადამიანს უფლება აქვს იქ წავიდეს და იცხოვროს, სადაც მოეპრიანება, მნიშვნელობა არ აქვს, "ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო". დემოკრატიისთვის არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიც არის სამშობლო, ამიტომ წამოაყენეს "უკვდავი ლოზუნგი" ნეოლიბერალმა დემოკრატებმა XIX საუკუნეში-"პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით." მაშინ ერთმა ქართველმა ნეოდემოკრატმა კი ამოილუღლუღა: კი მაგრამ, საქართველოში შეერთდითო, ის კი არ უთქვამს ჩვენს ბელადსო. ვინ დაუგდო მაშინ ყური იმ კაცს. ახლა ეს ლოზუნგი ისე ჩქაროსნულად ხორციელდება ევროპაში, რომ მისი "სიკეთე" იმ თავდადებულმა ნეოლიბერალებმაც კი გაიგეს, რომლებიც ამ ასი წლის წინ ნატრობდნენ, ნეტავ, ლენინ-ტოცკის მსოფლიო რევოლუციის ხმა ჩვენს მამულშიც გაგვაგონაო.

ჰოდა, გიხაროდენ! ზნეობრივად და ჭკუა-გონებით გაღლეტილები ყველა ქვეყნისა, ერთიანდებიან!

აი, კაცს რომ რძლად მოგიყვანს შენი ვაჟი და ქალიშვილი სიძედ წარმოადგენს საყურეებიან და პომადით მოდღაბნილ ძუძუებმოშიშვლებულ ქალს. ე, მაშინ იძახე, "ვივა დემოკრატია, ვივა ჩემო ოჯახოო"! გინდათ ეს?

თუ არ გინდათ, იმოქმედეთ, გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ არის!

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, განათლების აკადემიის წევრი.

ვაჟა-ფშაველას იაპონელი მთარგმნელი - ქვიშხეთში

გასულ კვირას, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ მუზეუმს ეწვივნენ იაპონელი ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა და მუსიკოსი, ჟურნალისტი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი ნაზი სარჯველაძე.

#8 საჯარო სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, მოეწყო ღონისძიება "ვაჟა-ფშაველა და იაპონია".

თეატრალური სტუდია „აკვარიუმის„ მიერ წარმოდგენილი იყო მცირე სპექტაკლი, ვაჟა ფშაველას „სტუმარ- მასპინძლის" მოტივებზე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება და ა(ა) იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება".

ჩვენი ღვაწლმოსილი ექიმი

ექიმი მაყვალა მაისურაძე 40 წელია ემსახურება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ხაშურის რაიონში. ხელმძღვანელობს სურამის პოლიკლინიკას და სურამელთა რჩეული დეპუტატია.

მაყვალა მაისურაძის სახელი ყოველთვის ხაზგასმულია პაციენტებში, როგორც მაღვალკვალიფიციური, თავის საქმეზე შეყვარებული, ჰუმანური, საოცრად ენერგიული და კეთილშობილი. მართლაც და, საოცრებაა, სამუშაო საათების დაწყებიდან , რა დროსაც არ უნდა მიხვიდე მის კაბინეტთან, პაციენტების რიგიდ გას. შესაშურია მისი ნებისყოფა. სამუშაო საათებში შეუსვენებლად მუშაობს, ყველა პაციენტს შვილივით ეპყრობა და ესათუთება, არ ეტყობა არც დაღლა, არც ღელვა, არც აჩქარება. ყველას თავისი სიდინჯით და დამაჯერებლობით აძლევს პასუხს და რჩევას. მის დასმულ დიაგნოზს ხომ ალტერნატივა არ მოეძებნება, ვერავინ შეცვლის. მართლაც დასაფასებელი და მისაბაძია მისი შრომა. გისურვებთ, დიდხანს გეღვაწოს, ჩვენო მაყვალა ექიმო!

პაციენტების სახელით, ჟუჟუნა გელაშვილი

პატარა მოჭადრაკეების კიდევ ერთი წარმატება

უკანასკნელ პერიოდში, ხაშურის საჭადრაკო სკოლა მნიშვნელოვანი წარმატებით ახარებს გულშემატკივრებს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელის, ალექსანდრე ჭადაშვილის დამსახურებაა. რომელიც შესანიშნავად ართმევს თავს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისმა შეგირდებმა, გასულ კვირასაც გვასახელეს გორში, სადაც 12 წლამდელთა შორის, ალექსანდრე აკოფაშვილი და მარიამ მჭედლიშვილი ჩემპიონები გახდნენ. ასევე, საუცხოოდ იასპარეზა ლაზარე ლიჩელმა, რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 7 ქულა აიღო და ყველა მეტოქე დააშამათა.

აღსანიშნავია ისაია გელაშვილის და ცოტნე ჭადაშვილის თამაშიც, რომლებიც ჯერ ექვსი წლისებიც არ არიან და უკვე ტოლ-სწორად ეთამაშებიან თავისზე 2-3 წლით უფროსებს.

ეს მოჭადრაკეები მაისში საქართველოს პირველობაზე ითამაშებენ, საიდანაც პირველი ათეული მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება.

იმედია, მათ რიცხვში, ჩვენი პატარა მოჭადრაკეებიც იქნებიან.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.